



# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოცემის 1957 წელიდან  
№10 (388) დეკემბერი, 2025 წელი



გილოცავთ ახალ წელს!  
2026

2026 წელს ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ყველა თანამშრომელს გისუილობთ ჯანმრთელობას და მშვენიერიანი ცხოვრებას; მინდა, ეს იყოს წახმარებებით სავსე წელი სწავლაში, სამეცნიერო მუშაობაში, აკადემიური საქმიანობაში და პირადი ცხოვრებაში.

ჩვენ ბევრი საინტერესო და ზოგჯერ მოულოდნელი ცვლილებების მომსწრე ვართ. ყველაზე გავაკეთებთ, რომ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს, თითოეულ თანამშრომელს უკეთესი გახდეს საქმიანობისთვის; სწავლისა და სწავლებისთვის შევქმნათ ყველა პირობა, რომ მეტი და მეტი მიღწევების მომხრე გახდეთ! წახმარებებს გისუილობთ ყველას!

*პროფესორი ირაკლი ნახროშვილი*  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი





# ინცეხეიუ ხეცოხთან

წლის მინორულს, ტრადიციულად, შეხვედით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ირაკლი ნატროშვილს. განვლილი წლის შეფასება საინტერესო და აქტუალურია, როგორც განვლილი შრომის შედეგის შეფასების თვალსაზრისით, ისე სამომავლო პერსპექტივის გასაზრებლადაც.

ბატონო ირაკლი, 2025 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საერთაშორისო ყურადღების ობიექტი გახდა – ის Higher Education Digest -ის ობიექტივში მოხვდა. უმაღლესმა საგანმანათლებლო საერთაშორისო პლატფორმამ თსუ-ის შეხვედრები ვრცელად აუთენტიკაცია გამოაქვეყნა სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამედიცინო განათლების, კვლევებისა და ინოვაციების გლობალური ჰაბი“. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს? თქვენი აზრით, რა ადგილს იკავებს თსუ-ში არსებული სწავლის დონე თანამედროვე განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტების მიღწევების გათვალისწინებით საერთაშორისო სივრცეში?

სწავლის დონის ხარისხი ჩვენს უნივერსიტეტში ნამდვილად კონკურენტუნარიანია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ის საერთაშორისო ყურადღებას, რისი მომხრენიც ვართ – გენბავთ, პარტნიორობის მსურველი უნივერსიტეტებისგან, გენბავთ – სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისგან, – ამის დასტურია. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – სამედიცინო განათლების, კვლევებისა და ინოვაციების გლობალური ჰაბი“ – ეს სათაური, მგონი, მრავლისმომცველია და დამატებით კომენტარებს ალარს საჭიროებს. ჩვენი მიზანია უნივერსიტეტში არსებული სწავლა/სწავლების დონის კიდევ უფრო დახვეწა და მაღალ საფეხურზე აყვანა, ასევე, ძალიან მაღალი კლასის პროფესიონალების აღზრდა, რომლებიც მაღალ დონეზე მოემსახურებიან ქვეყანას. ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სწავლის და სწავლების დონის ამაღლებას, ასევე, კომუნიკაციის უნარების დახვეწას მომავალ მედიკოსებში. დღეს ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა. ცხოვრების ტემპის ზრდამ, სტრესულმა სიტუაციამ ყველგან გართულა კომუნიკაცია, არადა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. მინდა დაინერგოს ახალი პროგრამები და ყველა საგნის კურიკულუმში შევიდეს კომუნიკაციასთან დაკავშირებული თემების სწავლება, რაც არ არის მარტივი.

მნიშვნელოვანია, რომ წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი Times Higher Education Impact Rankings 2025-ის მიხედვით მსოფლიოს ტოპ 201–300 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა. უნივერსიტეტების რეიტინგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების შედეგების მიხედვით მომზადდა. შეფასება თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის სისტემით – Times Higher Education Impact Rankings 2025 - მოხდა. რეიტინგის შედგენისას მთავარი კრიტერიუმი იყო ის წელიწადი, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მდგრადი განვითარების ხელშეწყობასა და განვითარებაში შეაქვთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში – NAFSA 2025, რომელიც აშშ-ში, ქალაქ სან-დიეგოში გაიმართა. გამოფენა/კონფერენცია ყოველწლიურია და ის მსოფლიო მასშტაბით მასპინძლობს წამყვანი უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. როგორც ვიცით, ამ გამოფენაზეც საკმაოდ მაღალი შეფასებები მიიღო თსუ-მაც. ისევე, როგორც ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელიში გამართული საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენის – APAIE 2025-ის შემდეგ. როგორ განწყობით დაბრუნდით გამოფენიდან?

ძალიან ამაყი ვიყავი, როცა საერთაშორისო დონეზე წარმოდგენილ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან დაკავშირებით შეიძლება გვეთქვა, რომ ეს იყო ერთ-ერთი, მართლაც, ყველაზე



ღირსეული და წარმატებული ინსტიტუცია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენ ისევე და ისევე ვცდილობთ, რომ ეს მაღალი დონისა და იმიჯის უმაღლესი სასწავლებელი მუდმივად ვითარდებოდეს... მართალია, საერთაშორისო სტუდენტებს აღარ მივიღებთ, მაგრამ საერთაშორისო პარტნიორობის მიმართულება კვლავ ძალიან აქტუალურ ნიშანს დრჩება.

თსუ-სადმი ინტერესი ერთგვარი შედეგია იმ შრომისა, რასაც თსუ-ის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი ეწევა წლიდან წლამდე უკვე მრავალი ათწლეულია... იზრდება თსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტთა რიცხვი...

სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა: ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, დაახლოებით, 20 ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტი შეუერთდა ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვს ERASMUS +-ის ფარგლებში. შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი სტუდენტი შეძლებს გაცვლითი პროგრამებით სარგებლობას.

სამედიცინო კონფერენციებში მონაწილეობა ყოველთვის მრავალსიმშველია საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის. 2025 წლის განმავლობაში არაერთი საინტერესო კონფერენციის მომსწრენი ვიყავით. როგორ შეაფასებთ ამ მიმართულებით თსუ-ის ბოლო ერთი წლის გამოცდილებას?

2025 წელს თსუ-ის მონაწილეობით არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

მინდა, რამდენიმე მათგანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საერთაშორისო კონფერენციას – WFME World Conference 2025, თემაზე – „ჯანმრთელობა ყველასთვის – ხარისხიანი სამედიცინო განათლების მემკვიდრეობა“ – წელს ბანკოკში (ტაილანდი) უმასპინძლა. ღონისძიება 2025 წლის 25-28 მაისს გაიმართა. სადაც თსუ-ის წარმომადგენლებმა გამართეს მაღალი რანგის შეხვედრები სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ლეონ ბორხესთან, ვიცე-პრეზიდენტ ჟენევიევე მონიუესთან და WFME-ის ხელმძღვანელ პირებთან. ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტ ჰარმ პიტერსთან და AMEE-ის აღმასრულებელ დირექტორ ანე ლოიდთან. საერთაშორისო პარტნიორობის განხილვის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები სამედიცინო განათლების სფეროში. საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოების წინაშე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მომსწენებლები ძალიან აქტუალური, მაღალი დონის მოხსენებებით წარდგინეს, რასაც ჩვენი კიდევ უფრო მაღალი შეფასება მოჰყვა, მათ შორის იმ მონაწილეებისგანაც, რომლებიც აქამდე კარგად არ გვიცნობდნენ...

შეიძლება ითქვას, უკვე გასული – 2025 წლის საუნივერსიტეტო ცხოვრების დამავირგინებელი იყო სამი დიდი კონფერენცია, რომელიც თსუ-ში ჩვენი ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა:

30 ოქტომბერს გაიხსნა სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ორი დღის განმავლობაში

მიმდინარეობდა. ფორუმი 10 ქვეყნის დელეგაციას, 300-მდე მონაწილესა და 21 ინსტიტუციის წარმომადგენელს აერთიანებდა.

ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „თანამედროვე გამოწვევები და ჯანდაცვის გლობალური საკითხები მიკრობიოლოგიაში აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონზე ფოკუსირებით“.

14 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით, გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია – „გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე საკითხები“. ფორუმმა ერთ სივრცეში გააერთიანა ქართველი და უცხოელი ექსპერტები, პროფესორები და ექიმები მსოფლიოს წამყვანი კლინიკებიდან და აკადემიური ცენტრებიდან. საერთაშორისო ფორუმის გახსნას დაესწრნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები.

სამივე კონფერენციამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი ცნობილი სპიკერი გვყავდა მონაწილე და მათ ძალიან კმაყოფილებმა დატოვეს ჩვენი ქვეყანა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თსუ-ის საერთაშორისო მნიშვნელობას.

კვლევითი მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის. რა ხდებოდა ამ მხრივ 2025 წელს?

საქართველო პირველად შეუერთდა ევროპის კლინიკური კვლევების ალიანსს (Ecraid) ინფექციური დაავადებების მიმართულებით. ამ თემაზე სამედიცინო შეხვედრა 10-12 მარტს პორტუგალიის ქალაქ კაშკაშიში გაიმართა. Ecraid-ის სამედიცინო შეხვედრის მთავარი მიზანი იყო დარგის სპეციალისტების ჩართულობის გაზრდა და კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავება, შესაბამისად, შეხვედრაზე განხილეს Clostridium difficile ინფექციის მესამე ფაზის საცდელი კვლევის განხორციელების შესაძლებლობა.

მიკრობიოლოგიის დარგის განვითარებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ დიდბარიძეს, 2025 წელს, მარტში – 2024 წლის წარმატებული მეცნიერი ქალის ტიტული მიენიჭა.

ივ. თარხნიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი შრომათა ციკლისა და ფუნდამენტური ქართულენოვანი სახელმძღვანელო სათვის „ადამიანის ფიზიოლოგია“ გახდა თსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირინე კვაჭაძე. ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიის ლაურეატი კი – თსუ-ის მედიცინის ისტორიის დეპარტამენტის მონაწილე მასწავლებელი, ნანა ხელაია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ტყემალაძე არადავგობირებული დაავადებების საერთაშორისო ქსელის (Undiagnosed Disease Network Internationa – UDNI) დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს.

ეს ჩვენი აკადემიური პერსონალის აღიარება და უაღრესად სასიხარულო გახლავთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე სამედიცინო პროექტი გვაქვს წარდგენილი Horizon Europe-ის კონკურსზე, რაც პრეცედენტულია – აქამდე თსუ-ს აქ პროექტები არ წარუდგენია. გამარჯვებულები გაისადამოვლინდებიან. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი პროექტები მათ შორის იქნება.

როგორ შეაფასებთ სტუდენტების მოტივირებისა და წარმატებულობის მაჩვენებელს 2025 წლის განმავლობაში?

ჩვენ ძალიან კარგი სტუდენტები გვყავს. 2025 წელი წარმატებული იყო მათთვის. ათასჯერ თქმულს გავიმოვრებ: თბილისის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სტუდენტებისა, მათთვისა და მათი ყველა წარმატება უნივერსიტეტის წარმატებულ სახეს ქმნის.

თსუ-ის სტუდენტები, მართლაც, იმედისმომცემები არიან და მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარადგენენ თავს. ამას მონაწილე არაერთი მაღლობის წერილი, არაერთი გამარჯვება... თუნდაც ერთ-ერთი ბოლო წარმატება ვასწავნოთ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა, საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციაზე („ნიეროდეგენერაციული დაავადებები: ცხოვრების ხარისხი და მართვა“) წარდგინილი პოსტერული მოხსენებით, პირველი ადგილი მოიპოვეს. პოსტერული მოხსენება თემაზე – „RBD ძილის დარღვევები პარკინსონის დაავადების დროს: შემთხვევის აღწერაზე დაფუძნებული ლიტერატურული მიმოხილვა და ცხოვრების ხარისხის მენეჯმენტი“ – თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ნუცა ხუსკვიადემ (მეშვიდე სემესტრი), მაიკო სულაბერიძემ (მეშვიდე სემესტრი) და ბაჩანა აფციაურმა (მეთერთმეტე სემესტრი) წარადგინეს. თსუ-ის სტუდენტების ნამუშევარი ღონისძიების ჟიურიმ პოსტერული მოხსენებების სესიის ფარგლებში საუკეთესოდ აღიარა.

არაერთი წარმატება ჰქონდათ თსუ-ის სტუდენტებს სპორტსა და ხელოვნებაში.

ჩატარდა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი“, სადაც თსუ-ის თეატრმა „პიგამა“ არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვა.

როგორ შეაფასებთ 2025 წლის განმავლობაში თსუ-ის ინფრასტრუქტურულ განვითარებას?

ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს. ყველა მათგანი ემსახურება თსუ-ის სტუდენტთა სწავლა/სწავლებისთვის მაქსიმალურად მაღალი დონის გარემოს შექმნას.

დასრულდა მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა სარაჯიშვილის ქუჩაზე. კლინიკის ძირითადი სტაციონარი გათვლილია 103 საწოლზე, 3 ძირითადი სტაციონარული განყოფილებით: მწვავე ფსიქიატრიული სტაციონარი; დუალური ნოზოლოგიის განყოფილება; ნარკოლოგიური დეტოქსიკაციის განყოფილება; კლინიკას, ასევე, ექნება სარეაბილიტაციო განყოფილება (30 საწოლი).

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსდება თსუ-ის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტი. გათვალისწინებულია სასწავლო აუდიტორიები, სალექციო დარბაზი და შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სასწავლო ინფრასტრუქტურა გათვლილია ერთდროულად 150-ზე მეტი სტუდენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის.

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა პაციენტების მიღებას 2026 წლიდან დაიწყებს.

ინფრასტრუქტურულ მიმართულებაზე შეიძლება ძალიან ვრცელად ვისაუბროთ, მაგრამ ვიცი, დაწვრილებით ინფორმაციას თსუ-ის საინჟინრო და სამშენებლო ზედამხედველობის და ლოჯისტიკის დეპარტამენტები მოგაწვდიან...

2025 წელი შევაჯამეთ და, იმედია, 2026 წელს, ამ დროს, კიდევ უფრო მეტი რამ გვაქნება სათქმელი და საამაყოც...

2026 წელს ყველა სტუდენტს, ყველა თანამშრომელს გისურვებთ ჯანმრთელობას და მშვიდობიან ცხოვრებას; მინდა, ეს იყოს წარმატებით სავსე წელიწადი, სამედიცინო მუშაობაში, აკადემიურ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში. ჩვენ ბევრი საინტერესო და ზოგჯერ მოულოდნელი ცვლილებების მომსწრენი ვართ. ყველაფერი გავაკეთებთ, რომ თითოეულ სტუდენტს, თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს უკეთესი გარემო საქმიანობისთვის; სწავლისა და სწავლებისთვის შევქმნათ ყველა პირობა, რომ მეტი და მეტი მიღწევების მონაწილე გახვდეთ!

ბედნიერი წელი მინდა გისურვოთ ყველას!

ესაუბრა ლელა შუკანინი

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მადლობის სიგელები – თსსუ-ის წახმომადგენლებს



აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული და უანგარო წვლილისთვის, სამედიცინო დანახარებებში მომუშავე ექიმებისა და ექთნების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ირაკლი ნატროშვილს**, დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ **ზაზა ბოხუას** და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსს **აკაკი ბარკალაიას**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-

კის მთავრობის თავმჯდომარემ, **გიორგი ჯინჭარაძემ** და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, **ბესიკ კუსიდიმ**, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს და მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს.

დაჯილდოების ცერემონია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციის ფარგლებში გაიმართა, სადაც მინისტრმა უწყების მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამები და პროექტები განიხილა, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე დაიგეგმა და განხორციელდა.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავ აქტიურად განაგრძობს იმ ინიციატივებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას, რომელიც აფხაზეთის რეგიონში სამედიცინო პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ემსახურება.

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შიშველნიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ



თსსუ-ის რექტორს, პროფესორ **ირაკლი ნატროშვილს** და ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ **ალიონა ბაკურიძეს**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

თსსუ-ის პროფესორები საპატიო წოდებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეზე დააჯილდოვეს. საიუბილეო

# თსსუ-ის ინფრასტრუქტურული განვითარება – ხილული შედეგები „უზიდავი გზების“ შიშველნიან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავ აგრძელებს განვითარების დინამიკურ ციკლს. მასში, როდესაც საზოგადოება ხშირად სტუდენტების წარმატებებზე და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო აღიარებაზე საუბრობს, ამ წარმატების უკან დგას უნივერსიტეტის მძლავრი სტრუქტურა და გამართული ლოჯისტიკა – ფუნდამენტი, რომელიც უწყვეტ რეჟიმში შენდება და ახლდება.

აკადემიური თუ სამეცნიერო მიღწევა წარმოუდგენელია ოპტიმალურად მონესრიგებული გარემოს გარეშე. თსსუ-ის სტრატეგია ორიენტირებულია ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნაზე, სადაც სწავლის, პრაქტიკული უნარების ათვისების, შემოქმედებითი განვითარებისა თუ სარეკრეაციო სივრცეები, ფუნქციური და ვიზუალური სტანდარტით, კონცეპტუალურად არის ინტეგრირებული. ამ პროცესის მთავარი შემოქმედნი კი ის თანამშრომლები არიან, რომლებიც, ფართო საზოგადოების ხედვის არეალის მიღმა, ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომით ქმნიან თითოეული თსსუ-ელისთვის კომფორტულ გარემოს.

ამ ეტაპზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი რამდენიმე მასშტაბურ პროექტს ახორციელებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის სასწავლო და კლინიკურ ლანდშაფტს:

• **მენცალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა:** პროექტი ფინალურ ფაზაშია. ამჟამად სრულდება სამშენებლო სამუშაოები და, პარალელურად, მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვის პროცესი. ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც 2026 წლიდან მიიღებს პაციენტებს, გახდება უმნიშვნელოვანესი ბაზა როგორც სტუდენტთა განათლებისთვის, ისე – პრაქტიკული მედიცინისთვის.

• **უსაფრთხოება და მეკვიდრობა:** დასასრულს მიუახლოვდა პირველი სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელის გამაგრების სამუშაოები. აღნიშნული პროექტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია შენობის ისტორიული იერსახის შენარჩუნებისა და უსაფრთხო საექსპლუატაციო გარემოს უზრუნველსაყოფად.

• **მოდერნიზებული ადმინისტრაციული სივრცე:** 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტი განახლებული ადმინისტრაციული კორპუსით შეხვდა. პირველ სართულზე თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სივრცე, სტუდენტებისა და პერსონალისთვის მომსახურების სრულიად ახალ კულტურას ამკვიდრებს. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების მხარდასაჭერად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სხვადასხვა ფორმატისა და ტევადობის საკონფერენციო დარბაზები განთავსდა. ინფრასტრუქტურული მრავალსახეობა საშუალებას იძლევა, თსსუ-მა უმასპინძლოს როგორც ვინაო სპეციალიზებულ სამუშაო შეხვედრებს, ისე ფართომასშტაბიან ინტერდისციპლინურ კონფერენციებს.

• **პედაგოგიური სერვისების გაფართოება:** თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედაგოგიის საუნივერსიტეტო კლინიკის მეორე სართულზე დასრულებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, გაიზარდა ამპულატორიული კაბინეტების რაოდენობა და მოდერნიზებულ სივრცეში განთავსდა ლაბორატორია, რაც ზრდის სამედიცინო მომსახურების ეფექტურობას. აღსანიშნავია, რომ მოდერნიზებული ლაბორატორიის ფუნქციურ სპექტრს დაემატება პრიორიტეტული მიმართულება – ბავშვთა ლაბორატორიული სერვისების მინორდება ბინაზე, რაც კიდევ უფრო მოქნილს ხდის პედაგოგიური სერვისებით სარგებლობის პროცესს და პასუხობს თანამედროვე ჯანდაცვის გამოწვევებს.

• **სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება:** აქტიურ ფაზაშია ოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისა და ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოები. პროექტის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში შექმნას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სივრცეები, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური კვლევების განხორციელებას და წარმოების გაფართოებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეს ინფრასტრუქტურული ტრანსფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი არ ჩერდება მიღწეულზე და მუდმივად ზრუნავს იმ გარემოს გასწავლაზე, სადაც მომავალი თაობის მედიკოსები ყალიბდებიან. ამ მასშტაბური სამუშაოების მიღმა კი ადამიანთა დიდი გუნდი დგას. წლის ბოლოს, ტრადიციულად, მნიშვნელოვანია იმ თანამშრომელთა შრომის აღიარება, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

თსსუ-ის თანამშრომლების სახელით, მადლობას ვუხდით საინჟინრო და სამშენებლო ზედამხედველობისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტების ყველა თანამშრომელს. თქვენი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა პირდაპირ აისახება ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიურობასა და მის იერსახეზე. ჩვენ ვხედავთ და ჯეროვნად ვაფასებთ თითოეული თქვენგანის შრომის შედეგს.

ლელა შუპანაძე



# თსსუ-ს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUSA) ასოციირებული წევრის სტატუსი მიენიჭა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ევროკავშირის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული ქსელის – COST-ის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

ლონისძიება თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** გახსნა. მან COST-ის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა:

შეხვედრის ფარგლებში თსსუ-ის აკადემიური პერსონალი COST-ის საქმიანობას, დაფინანსების მექანიზმებსა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ქსელურ პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს გაეცნო. აღნიშნული ინფორმაცია მონაწილეებს COST-ის სამეცნიერო მიმართულების ოფიცირება, ინგა დადეშიძემ (ბრიუსელი, ბელგია), წარუდგინა.

ევროპული თანამშრომლობის პროგრამა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ფინანსდება ევროკავშირის პროგრამა – „ჰორიზონტი 2020“-ის ბიუჯეტიდან. მისი მიზანია ევროპის მასშტაბით მკვლევარების მობილობის ზრდა და მათი მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა COST აქციებში (COST Actions) ჩართვის გზით.



დღეს COST-ში განვრიანებულია 41 ქვეყანა და ქსელი აერთიანებს 60 000-ზე მეტ მეცნიერს. ასევე, COST-ს ჰყავს ერთი კოოპერატიული ქვეყანა – ისრაელი და ერთი პარტნიორული ქვეყანა – სამხრეთ აფრიკა.

საქართველო COST-ის ფარგლებში ინკლუზიური ქვეყნის სტატუსით არის წარმოდგენილი, რაც გულსხმობს დამატებითი შესაძლებლობების შექმნის საჭიროებას ქვეყნის მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის.



# მომავალი თაობის სამსახურში

დასაწყისი გვ 5-იდან

მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, სკოლაში არასაკმარისი აკადემიური მოსწრების სამედიცინო ასპექტების კვლევა, ბუღინგის პრობლემა. ცხადია, უშუალოდ, კლინიკური ასპექტებიც ამ არეალში მოისაზრება.

გერმანელი პედაგოგი ადლბერტ ჩერნი, რომელიც თანამედროვე პედაგოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიჩნეულია, ავტორია შესანიშნავი ნიგუნისა – „ექიმი, როგორც ბავშვის აღმზრდელი“. ცხადია, აქ იგულისხმება, რომ ექიმი მოძღვრებას და ბავშვების ძირითადი აღმზრდელია. ვფიქრობ, რომ ჯანმრთელობა პიროვნების თვითრეალიზაციის მთავარი ნიშანია. ამასთანავე, მოზარდ თაობას უნდა ჩაუფერვოთ საკუთარი ღირსების გრძობა, სიკეთის კეთების განთავსება, სექსუალური განათლება და სხვა მნიშვნელოვანი, მას ფართოდ განვიხილავ, მიმართა, მთავარი ამოცანაა ბიჭუნასაგან ვაკუაცი გავზარდოთ, ხოლო გოგონასგან – მანდილოსანი; კრიტიკული აზროვნების განვითარება ყველა ასაკშია საჭირო, ასევე, ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა. ყველამ იცის, რომ ცხოვრებაში გამარჯვებას დამარცხება მოსდევს ხოლმე და პირიქით, არც გამარჯვებამ უნდა გაგვანებდეს, არც მარცხის უნდა გვეშინოდეს. ჩერნილის გამოთქმა, – დამარცხება არაა გზის დასასრული, დასასრულია სასოწარკვეთილება და იმედის უქონლობა.

პედაგოგია და პედაგოგია ყველაზე პატრიოტული დარგებია, მომავლისკენ არის მიმართული. ამიტომაც კულტურული კოდის შენარჩუნება და მისი განვითარება, პატრიოტული აღზრდა – პედაგოგიისა და, მასთან ერთად, პედაგოგიის უმთავრესი სამიზნე უნდა იყოს. კონრად ლორენცისეული გაგებით (ნობელის პრემიის ლაურეატი გახლდათ), ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევის ძირითადი საშუალება იმპროტივიტი – უნდა შევავსოთ რომელიმე მობილური ჰანგები (მარტო „იანგანამ რა ჰქნას“ მაგალითი რად ღირს), ლიტერატურა, ბუნება, ტრადიციები. ყოველთვის ამას ვამბობდი და, ვიმედოვნებ, გაეაგრძელებ ამ მხრივ აქტივობას – თვითმფრინვადობა და სამშობლო უნდა შეინარჩუნოთ.

რაც შეეხება სწავლებას, ვფიქრობ ფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის გაგების მეტი ყურადღება მზარდი ორგანიზმის თავისებურებებს, ეპიდემიოლოგიას, საზოგადოებრივ ჯანდაცვას და საოჯახო მედიცინას უნდა დაეთოს და, გარკვეულწილად, პედაგოგისთან ერთ ბლოკში უნდა განიხილებოდეს. სტუდენტების მეტი ჩაბმულობა საჭირო კვლევით პროექტებში. სტუდენტებისა და რეზიდენტების სრულყოფილი მომზადებისთვის მაინც ავადმყოფების, მით უფრო, რთულის, პრაქტიკული ნახვა საჭიროა და, ასევე, მათი დეტალური გარჩევა. უნდა დაინერგოს რეზიდენტების პასუხისმგებლობა. სწავლების უახლესი მეთოდების უფრო ფართო დანერგვა (კაზაჩირო, მაგალითად, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (case-based learning) და „red flag“ სიტუაციებით, „რთული საუბრები“, თანამედროვე რესურსების, ხელმოწერილი ინტელექტის მეთოდოლოგიების ინტეგრაცია პედაგოგიურ პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგების შერჩევა, კლინიკურ საქმეში ესენი ერთდროულად ჩინებულნი ექიმები და მასწავლებლები უნდა იყვნენ; ასეთების პოვნა ძნელია, მაგრამ აუცილებელია... ცოდნის შეფასებაში უნდა ვერიდოთ ლიბერალიზმს, ჩვენ ხომ ჩვენი და ჩვენი შვილების ექიმებს ვზრდით, წუნი მოუღებელია.

## რას გვისურვებდით საახალწლოდ?

– ყოველივე საუკეთესოს, პირველ რიგში კი ბავშვებსა და ახალგაზრდებს ვუსურვებ – იყვნენ გონიერი, სახიერნი, მაღალი ზნეობით შემკულნი, ჯანმრთელნი, გამარჯვებულნი.

დავამთავრებდი კი ჩემი უსაყვარლესი სენტენცით – პატრიოტულია ის, რაც კარგია მოზარდი თაობისთვის, და პირიქით.

# ანტიმიკრობიული ჰეზისტენსობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირული

17-24 ნოემბერს მთელ მსოფლიოში ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირული აღინიშნა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არაერთი აქტივობით შეუერთდა. ღონისძიების ჩვენი უნივერსიტეტის ევდიტი მოწყობის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კლინიკური მიკრობიოლოგი, პროფესორი თამარ დიდბარაძე. ქალბატონი თამარი სიამოვნებით გვესაუბრა პრობლემის აქტუალობასა და მისი გადაწყვეტის მნიშვნელობაზე.



## ქალბატონო თამარ, ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირული სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა – რა იყო ამ ღონისძიების მთავარი სათქმელი თუ გზავნილი?

17-24 ნოემბერს მთელ მსოფლიოში ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირული აღინიშნა სლოგანით – „ვიმოქმედოთ ახლა, დავიცვათ დღევანდელი“. 2015 წლიდან ეს კვირული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით ხორციელდება და ფართოდ აღინიშნება მთელ მსოფლიოში, მათ შორის, – საქართველოში. ანტიმიკრობიული რეზისტენტობა თანამედროვე მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, როგორც სასწავლო-სამედიცინო დაწესებულებას, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია – ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, რომ, შეძლებისდაგვარად, ყველა ადამიანს მივითმინოთ პრობლემა, რომელიც, ფაქტობრივად, ჩუმ პანდემიად გამოცხადებულია.

წელს ცნობილი ქართველი მიკრობიოლოგის, პროფესორი თამარ კერესელიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა; ბატონი თამარ კერესელიძე გახლდათ ადამიანი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მიკრობიოლოგიის დარგის განვითარებას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. როგორც მიკრობიოლოგიის და ეპიდემიოლოგიის ექსპერტმა, მან საქართველოში დანერგა თანამედროვე კვლევითი სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა საერთაშორისო მეცნიერებას დაუახლოვა. ამასთან ერთად, მას, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრის გამგეს და პედაგოგს, დიდი წვლილი აქვს თაობების აღზრდის და სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ ამ ადამიანის იუბილეს მიეძღვნა თსუ-ში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია – „თანამედროვე გამოწვევები და ჯანდაცვის გლობალური საკითხები მიკრობიოლოგიაში აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონზე ფოკუსირებით“, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ღონისძიება მხარდაჭერილი იყო ევროპის კლინიკური მიკრობიოლოგიისა და ინფექციური დაავადებების ასოციაციის (ESCMID) მიერ და ადგილობრივი და რეგიონული პარტნიორების ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენციამ მიკრობიოლოგიის, ინფექციური დაავადებებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროებში მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები და ექსპერტები შეკრიბა: გადუქარებულად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გუნდი, რომელიც, ფაქტობრივად, მართავს ინფექციას – ინფექციის კონტროლის საუკეთესო გუნდი. მათ განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც: ანტიმიკრობიული რეზისტენტობის ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია, ბაქტერიოფაგების თერაპიული პოტენციალი, ინოვაციური მიდგომები კლინიკურ მიკრობიოლოგიაში და ინფექციური დაავადებების მართვაში, პანდემიისთვის მზადყოფნის გაძლიერება, ჯანმრთელობის ერთიანი მიდგომის (One Health) განვითარება აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონში. კონფერენციაზე საზოგადოებას მიესალმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია; სიტყვით წარდგინდა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ლიდერები და ექსპერტები, მათ შორის: პროფესორი თამარ მიუზაკი – უოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი და პროგრამის მენეჯერი; რობერტ ლეო სკოვი – ევროპის კლინიკური მიკრობიოლოგიისა და ინფექციური დაავადებების ასოციაციის (ESCMID) პრეზიდენტი; სტივენ ბეკმენი – აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი – აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის დირექტორი; მარიამ ჯაში – სეფსისის გლობალური ალიანსის აღმასრულებელი დირექტორი; პროფესორი პაატა იმნაძე – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში; პროფესორი ამირან გამყრელიძე; ნუნე დოლიანი – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ტექნიკური ოფიცერი (ჯანმრთელობის კოორდინაცია და პარტნიორობა). კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოსხენებები და სამეცნიერო სესიები ექიმების, მეცნიერებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით, ასევე, სტუდენტების ზეპირი და პოსტერული პრეზენტაციები. კონფერენცია იყო ერთგვარი პლატფორმა თსუ-ის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის მიკრობიოლოგიისა

და ინფექციური დაავადებების სფეროში მიმდინარე ტრენდების შესწავლის და საერთაშორისო კვლევითი ინიციატივებში ჩართვის თვალსაზრისით. სასიხარულო და მნიშვნელოვანია, რომ საპატიო სტუმრებისგან მაღალ დონეზე შეფასდა ღონისძიება, დაისახა მომავალი თანამშრომლობის გეგმა და, ვფიქრობ, გარკვეული წვლილი შევიტანეთ ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში, თუმცა შეუძლებელი იქნებოდა ამ იდეის ხორცშესხმა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, რექტორის და კანცლერის, ბატონების – ირაკლი ნატროშვილის და ალექსანდრე ბუაჩიძის თანადგომის და ხელშეწყობის გარეშე. აღსანიშნავია რექტორის აპარატის უფროსის, ქალბატონი ირინა კაპეტევიძის, ასევე, ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი ივანე სურმაჯას და ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ბაჩანა აფციაურის, წვლილი ღონისძიების ორგანიზების მნიშვნელოვან საქმეში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხვდით მათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ასევე, ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაცია, რომლის გამგეობის წევრიც გახლავართ, ყოველ წელს ეხმარებოდა აღნიშნულ კვირულს, თუმცა წელს ღონისძიებას პირველად უმასპინძლა თსუ-მ. ეს არ გახლდათ კომერციული ღონისძიება, კონფერენციაზე დასწრე იყო უფასო, რადგან მიეძღვნა უნივერსიტეტის ერთ-ერთი ამგდარის, საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერის, პროფესორი თამარ კერესელიძის სხოვნას და უნივერსიტეტმა გამოთქვა მზაობა ყველა საჭირო პრობლემის განსახორციელებლად, რაც ღონისძიების სრულფასოვნად ჩატარებისთვის იყო აუცილებელი. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა და ურულად დაგვანახა უნივერსიტეტის სლოგანის მნიშვნელობა – „ტრადიციებით მომავლისკენ“, დაგვანახა ამ ტრადიციების გაგრძელების მზაობაც, რადგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის უბიძგებდა და მიაგებს ადამიანებს, ვინც ქმნიდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიას.

– „ანტიმიკრობიული რეზისტენტობა დღეს გამოცხადებულია გლობალურ საფრთხედ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, როგორც საგანმანათლებლო პლატფორმა, ნამდვილად იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს განათლების ნაწილი, ყველასთან მიიტანოს ეს ინფორმაცია, რაც დაგვეხმარება შედეგის მიღწევაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გადავდით ქმედებაზე ამ საკითხთან მიმართებაში“, – აღნიშნეს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც

და ინფექციური დაავადებების სფეროში მიმდინარე ტრენდების შესწავლის და საერთაშორისო კვლევითი ინიციატივებში ჩართვის თვალსაზრისით.

სასიხარულო და მნიშვნელოვანია, რომ საპატიო სტუმრებისგან მაღალ დონეზე შეფასდა ღონისძიება, დაისახა მომავალი თანამშრომლობის გეგმა და, ვფიქრობ, გარკვეული წვლილი შევიტანეთ ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში, თუმცა შეუძლებელი იქნებოდა ამ იდეის ხორცშესხმა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, რექტორის და კანცლერის, ბატონების – ირაკლი ნატროშვილის და ალექსანდრე ბუაჩიძის თანადგომის და ხელშეწყობის გარეშე.

მიკრობიოლოგიაში არსებულ გამოწვევებს შეეხებოდა. ცხადია, ქმედებაში კვირულის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები იგულისხმება...

– კვირულის ფარგლებში, კონფერენციასთან ერთად, ჩატარდა საჯარო ლექცია – „ყველაფერი ანტიმიკრობიული რეზისტენტობის შესახებ“, რომელიც შეეხებოდა ანტიმიკრობიული რეზისტენტობის გლობალურ გამოწვევებს, მისი გავრცელების მექანიზმებსა და პრევენციის თანამედროვე მიდგომებს. დავეგმეთ და განვახორციელეთ, ასევე, საგანმანათლებლო აქტივობა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებმა თანამედროვე განათლების აკადემიაში, ასევე, თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლაში, წარადგინეს პრეზენტაციები ანტიბიოტიკების აღმოჩენის ისტორიის, მისი მუ-



### ანტიმიკრობული ხევისცენარების შესახებ ცნობიერების ამაჯვების კვირეული

დასაწყისი გვ 6-იდან

ში, ეს ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კვირეულის ფარგლებში, რომელშიც მოზარდთა დაინტერესება გამოიწვია და ისინი აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაშიც. ჩვენ ამ ცოდნის გაზიარებით თითოეულ მოსწავლემდე მივიტანეთ იდეა, რომ თვითმკურნალობა სახიფათოა და ანტიბიოტიკის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით.

– თქვენი კვლევითი თუ სამეცნიერო ღვაწლის აღიარება იყო წარმატებული მეცნიერი ქალის ტიტული, რომელიც მიკრობიოლოგიის დარგის განვითარებისთვის მოგენიჭათ... რა არის ძირითადი სირთულე დღეს დარგის განვითარების მიმართულებით და აქვე, ორიოდ სიტყვით, თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაზე რომ გვიხილათ...

– გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, 11 თებერვალი, ყოველწლიურად, მეცნიერ ქალთა დღედ გამოცხადებულია. ამ დღის გამომხატველობა იყო გადაწყვეტილება საუკეთესო მეცნიერი ქალის ტიტულის მინიჭების შესახებ – მოგესხენებათ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც, ყოველწლიურად, ავლენს მეცნიერ ქალს, პროფესიული საქმიანობის მაღალი ხარისხის და ინოვაციური კვლევების გათვალისწინებით. ცხადია, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ ნიშნით გამოვარჩიე და თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა მაღალხარისხის სიგელიც გამომიცხა. სიახლეა, რომ წელს გავხდები ევროპის კლინიკური მიკრობიოლოგიისა და ინფექციური დაავადებების ასოციაციის (ESCMID) ლოკალური ჩემპიონი ჩვენს ქვეყანაში (2025-2028), ასევე, რუმინეთის ლაბორატორიული მედიცინის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი; ჟურნალი მთლიანად მსხვილსა და მასში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების სამეცნიერო სტატიები ქვეყნდება. შემოთავაზება მივიღე მიკრობიოლოგიის მიმართულებით და ვეცდები ამ კუთხითაც არ დავიშურო ენერჯია თუ შესაძლებლობა... მიკრობიოლოგიის განვითარებას რაც შეეხება, როგორც მოგეხსენებათ, უმნიშვნელოვანესია მისი პოპულარიზაცია, ზემოაღნიშნული ღონისძიებაც ამას ემსახურებოდა და მომავალშიც, ცხადია, გაგრძელდება აქტიურობა ამ კუთხით. ეს გახლავთ რთული სფერო, შეიძლება ითქვას, 21-ე საუკუნის დარგი, შესაბამისად, კადრების დეფიციტია; ვცდილობთ დავაინტერესოთ ახალი თაობა. უკვე წლებია პედაგოგიურ საქმიანობას ვენევი და მოხარული ვარ, რომ 2023 წლიდან, როგორც მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სტუდენტებთან ცოდნის და გამოცდილების გაზიარების უფრო ფართო ასპარეზი მომეცა. ეს ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მხოლოდ დადებითად შემიძლია შევაფასო სტუდენტების დამოკიდებულება ცოდნის შეძენის თუ გაღრმავების თვალსაზრისით – ბევრია ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდა, რაც გვაძლევს იმედს, რომ ტრადიცია, რომელსაც საქართველოში პროფესორმა თამაზ კერესელიძემ ჩაუყარა საფუძველი, გაგრძელდება და არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მომავლის მედიცინის და მიკრობიოლოგიის განვითარებაში.

ქსანთა ნათო გოლძეძე



უკვე მეთორმეტედ უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა თსსუ-ის სახალხო თეატრ – „ჰიგიას“ ხელმძღვანელის, პისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ნათია გუჯაბიძის, ინიციატივით დაარსებულ თბილისის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალ – „ნილაბს“, რომელიც, თსსუ-ში, ტრადიციულად, წინასაახალწლო დღეებში იმართება ხოლმე.

ფესტივალის საზეიმოდ გახსენისას, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ისაუბრა თსსუ-ის თეატრალური დასის შესახებ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თეატრმა „ჰიგია“, ორ ათეულ წელზე მეტია ლამაზი და დახვეწილი შემოქმედებითი ხელნერით, მეტი ავტორიტეტი და ხიბლი შესძინა საუნივერსიტეტო ცხოვრებას; რექტორმა მაღლობა გადაუხადა შემოქმედებით კოლექტივს – თეატრის მთავარ რეჟისორს, ქალბატონ ნათია გუჯაბიძეს, მთელ დასს და წარმატებული სამომავლო გზა უსურვა მათ. ისაუბრა რა თსსუ-ში დაფუძნებულ თბილისის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელობაზე, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სამომავლოდც ყველაფერს გააკეთებს თსსუ-ის სახალხო თეატრის და საერთაშორისო ფესტივალ – „ნილაბს“ მხარდასაჭერად.

მართლაც, მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზეს წელს ფესტივალის სტუმრებმა – სხვადასხვა უნივერსიტეტის თეატრალურმა დასებმა, თავიანთ გულშემატკივრებს. ფესტივალის 9 დეკემბერს გაიხსნა და ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტებმა საინტერესო სპექტაკლებით გაანებივრეს დამსწრე საზოგადოება. კომპეტენტური ჟიურის მხვილ მზერას არ გამოპარვია ახალგაზრდათა მცდელობა, საუკეთესოდ წარმოჩენილიყვნენ, ორიგინალური სამეწარმელო მანერით – განცდათა სისუფთავით და უშუალოდ, თავი დაემხსსოვრებინათ მაყურებლისთვის.

სპექტაკლებმა, რომლებიც წარმოადგინეს – კავკასიის უნივერსიტეტმა („უსახელო ვარსკვლავი“), „სივრცის თეატრმა (მარადიული სიყვარული)“, სალერნოს უნივერსიტეტის (იტალია) სცენის აკადემიამ („სახიფათოდ“), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თეატრმა – „თეატრონმა“ („კურთხევა“), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა („დარისპანის გასაჭირი“), თბილისის სახელმწიფო

დაიმსახურა.

შედეგად კი, ფესტივალის მონაწილეებმა ღირსეულად მოიპოვეს კომპეტენტური ჟიურის მაღალი შეფასება და მაყურებლის მხრიდანაც სათანადო მონივნება არ დაკლებიათ. საზეიმოდ დაჯილდოებაზე, თსსუ-ის კანცლერმა, ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ, განაცხადა: „ეს ულამაზესი დღე თანაბრად ეკუთვნის ყველას – აქ წარმოდგენილ შემოქმედებით კოლექტივებს, თითოეულ მონაწილეს; საერთაშორისო ფესტივალის მასპინძლობა დიდი პატივია სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, რომელსაც ყოველთვის ექნება მზაობა თეატრ „ჰიგიას“ მხარდაჭერისა და მისი შესანიშნავი საფესტივალო ტრადიციის შენარჩუნება-გამრავლფეროვნებისთვის“.

ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ, თსსუ-ის რექტორის მიერ დაწესებული პრიზი – საუკეთესო დებუტისთვის – გადასცა ბათუმის შოთა რუსთაველის სტუდენტურ თეატრ – „თეატრონის“ კოლექტივს; ასეთივე პრიზი, ასევე, გადაეცემათ სალერნოს (იტალია) უნივერსიტეტის „სცენის აკადემიის“ წარმომადგენლებს.

ჟიურის წევრებმა შესაბამისი პრიზები გადასცეს სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეულ მონაწილეებს: ფესტივალ „ნილაბი – 25“-ის „ალმოჩენა“ გახდა ბაჩი ჟულიკაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან; მონაწილეთა რჩეული – ელენე უჯმაჯურიძე, ხოლო ქალის მთავარი როლის საუკეთესოდ შემსრულებელი – სალი მიქაძე (თსსუ-ის თეატრ „ჰიგიას“ დასიდან); მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის პრიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტული ლიკა მერგულაძეს გადაეცა; თსსუ-ის ვიკტორიის თეატრ, ბატონმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ტრისტან სარალიძის სახელობის პრიზით – გამორჩეული ხიბლის მქონე სამსახიობო სახის შექმნისთვის, თსსუ-ის სტუდენტი ვახო კიკნაძე დააჯილდოვა; ქალისა და მამაკაცის მეორე ხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზები სალომე სიჭინავას (თსსუ) და თორნიკე მეძმარიაშვილს („სივრცის თეატრი“) გადაეცათ; რეჟისორ გოგი თოდუას პრიზის მფლობელად, თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ბათუნა თოდუამ, ნიკოლოზ ქაცარიძე დაასახელა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; ქალის დრამატული როლის შემსრულებელი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი ლიკა დვლილი გახდა; მამაკაცის დრამატული როლის საუკეთესოდ შესრულებლად კი სანდრო თვალაძე დაასახელა; AS-

### ჭეშმახიცი ხელოვნების ზეიმი

უნივერსიტეტმა („მუა ზაფხულის ღამის სიზმარი“), საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა (SEU) („ნატურის ხე“) და თსსუ-ის თეატრალურმა დასმა – სახალხო თეატრმა „ჰიგია“ („აგათა“) მაყურებლის დიდ ოვაციებში და აპლოდისმენტებში



TA-ს (საორგანიზაციო ჯგუფის) რჩეულად ნიკოლოზ თეთრაშვილი აირჩიეს კავკასიის უნივერსიტეტიდან; ქალის კომედიური როლის შემსრულებლად ელენა მოდებაძე დასახელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან, ხოლო მამაკაცის კომედიური როლის შესრულებისთვის პრიზი ზუკა ჩოგვაძეს სედა წილად კავკასიის უნივერსიტეტიდან; კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ნინო ტაბატაძე ფესტივალის გენერალურმა სპონსორმა – თბილისის მერიამ რჩეულად დაასახელა; ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზი თსსუ-ელ სალი საგინაშვილს გადაეცა, მამაკაცის ეპიზოდური როლისთვის კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელ ლუკა ნინიანიძეს.

მკითხველისთვის აზრის გაზიარება ვთხოვეთ რეჟისორ ნათია გუჯაბიძეს, რომელმაც განაცხადა: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ახალი თაობის „ჰიგიელეებს“ საინტერესო სპექტაკლი შეეთავაზებინათ მაყურებლისთვის, ამიტომ გადავწყვიტეთ, პიესაზე მუშაობის პარალელურად, სპექტაკლიც დაგვედგა; ავიღეთ აგათა კრისტის ბიოგრაფიული ქრონიკა, გავცანიით ავტორის ცხოვრების დეტალებს და ყველამ ერთად, ჩემი ინსცენირებით, შევკარით ეს პიესა; ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის აღმოჩნდა, რომ აგათა კრისტის მომავალი მეუღლე, 12 წლამდე, ინდოეთში ცხოვრობდა, რაც ეფექტურად გამოვიყენე კიდევ ჩვენი ახალგაზრდების მეტი კოლაბორაციისთვის და უნივერსიტეტის უცხოურენოვანი – ინდოელი სტუდენტებიც ჩაერთე ამ სპექტაკლში, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ახალგაზრდები მეტად დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ, ერთად ითამაშეს და თავიანთ სურვილებს უცვლიდნენ ერთმანეთს, დაჯილდოვების ცერემონიაზე კი ყველა საერთო წარმატებას იზიარებდა.“

ვიცი, რომ „ჰიგიას“ ახალი თაობა თავის სიტყვას იტყვის სამომავლოდ – გაიზრდება მათი სასცენო და სამსახიობო ოსტატობა და აუცილებლად კიდევ ბევრი საინტერესო სპექტაკლით გაგვახარებენ.“

ჩვენი მიმოხილვა კი, თეატრალური ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის, მსახიობ ეკა მკუავა-ნაქესთან, საუბრით გვიხდა დავასრულოთ – უკვე რამდენიმე წელია, ამ ფესტივალის ჟიურის წევრი ვარ და თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობ. „ჰიგიას“ წარმოდგენაზე სიხარულის ცრემლიც კი მომადგა; ქალბატონი ნათია ის ადამიანია, ყოველ ჯერზე ახალ ზეიმს რომ უწყობს ახალგაზრდობას, თავის კოლეგებს და ჩვენც – ჟიურის წევრებს; იგი ხომ საოცარი გემოვნებით და დახვეწილი კულტურით ქმნის არაჩვეულებრივ



სპექტაკლებს და ეს მაშინ, როცა არავითარი პროფესიული შეხება არ აქვს რეჟისურასთან. ვამბობ, რომ სცენაზე დგომა ნამდვილად დაუწყობელია და განსაკუთრებულად გამორჩეული დღესასწაულია შემოქმედებითი დასის ყველა წარმომადგენლისთვის; მინდა წარმატებები ვუსურვო მათ, ძალიან ამაყი ვარ, რომ მე და ჩემს კოლეგებს, წლებია ამ შესანიშნავ თეატრალურ სივრცეში გვინეგს ყოფნა. მაღლობა ნათიას, სტუდენტებს, სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ახალგაზრდების ამგვარი ხელშეწყობისთვის, რაც დღეს მათ ძალიან სჭირდებათ; სწორედ ერთად დგომის, ერთმანეთის თვლებში ჩახედვის, სიყვარულის, პატივისცემის გამოვლინება ეს ფესტივალი...“

საინტერესო გეგმების და იდეების განხორციელებას ვუსურვებთ თსსუ-ის სასცენო ხელოვნების ოსტატებს, მათ კოლეგებს და თანატოლებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, არ განელებოდეთ სცენის სიყვარული და, თავიანთ უმთავრეს პროფესიასთან ერთად, სიყვარულით არჩეულ ამ საინტერესო გზაზეც კიდევ ბევრი წარმატება მოეპოვებინოთ.

დაკრეჯან კოხლავაძე

### „პაჯაფა No.6“ – ეფიხოპედი ფიგმების ასოციაციის გამაჩვენებელი



ავსტრიაში გამართულ European Film Association-ის დაჯილდოებაზე – ARDELION AWARDS GALA – 2025, საუკეთესო სტუდენტური ფილმის ნომინაციაში გამარჯვებული გახდა ფილმი – „პაჯაფა N 6“, რომელიც გადაიღო თსსუ-ის

გადამღებმა ჯგუფმა – Reproduction-მა თსსუ-ის თეატრ „ჰიგიას“ მოყვარულ მსახიობთა მონაწილეობით.

ფესტივალის ფინალი და დაჯილდოება 4 დეკემბერს ქალაქ გრაცში (ავსტრია) გაიმართა.

ფილმი 2025 წლის თებერვალში გადაიღეს; რეჟისორი თსსუ-ის სახალხო თეატრ „ჰიგიას“ დამფუძნებელი ნათია გუჯაბიძეა.

ფილმში მონაწილეობენ: გიორგი სანიკიძე, ტატო ზუმბაძე, თემო ჩხეიძე, თორნიკე პაპუაშვილი, ფავე გოგნაძე და სხვები.





**იანვარი**

ორშაბათიდან კვირამდე

	1	2	3	4		
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

**თებერვალი**

ორშაბათიდან კვირამდე

						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	

**მარტი**

ორშაბათიდან კვირამდე

						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

**აპრილი**

ორშაბათიდან კვირამდე

			1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12	
13	14	15	16	17	18	19	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30				

**მაისი**

ორშაბათიდან კვირამდე

		1	2	3		
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

**ივნისი**

ორშაბათიდან კვირამდე

1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

**ივლისი**

ორშაბათიდან კვირამდე

		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

**აგვისტო**

ორშაბათიდან კვირამდე

							1	2
3	4	5	6	7	8	9		
10	11	12	13	14	15	16		
17	18	19	20	21	22	23		
24	25	26	27	28	29	30		
31								

**სექტემბერი**

ორშაბათიდან კვირამდე

				1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13			
14	15	16	17	18	19	20			
21	22	23	24	25	26	27			
28	29	30							

**ოქტომბერი**

ორშაბათიდან კვირამდე

				1	2	3	4		
5	6	7	8	9	10	11			
12	13	14	15	16	17	18			
19	20	21	22	23	24	25			
26	27	28	29	30	31				

**ნოემბერი**

ორშაბათიდან კვირამდე

							1		
2	3	4	5	6	7	8			
9	10	11	12	13	14	15			
16	17	18	19	20	21	22			
23	24	25	26	27	28	29			
30									

**დეკემბერი**

ორშაბათიდან კვირამდე

				1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13			
14	15	16	17	18	19	20			
21	22	23	24	25	26	27			
28	29	30	31						

- 1 იანვარი - ახალი წლის პირველი დღე
- 2 იანვარი - ახალი წლის მე-2 დღე
- 7 იანვარი - მართლმადიდებლური შობის დღესასწაული
- 19 იანვარი - ნათლისღება

- 3 მარტი - დედის დღე
- 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე
- 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
- 10 აპრილი - დიდი პარასკევი

- 11 აპრილი - დიდი შაბათი
- 12 აპრილი - ადვოკატების დღესასწაული
- 13 აპრილი - ადვოკატების ორშაბათი
- 9 მაისი - ფაშინოვზე გამარჯვების დღე

- 12 მაისი - წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების და ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- 28 აგვისტო - მარიამობა
- 14 ოქტომბერი - სვეტიცხოვლობა
- 23 ნოემბერი - გიორგობა